LLC united water supply company of georgia
Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2023.02.07 11:47:12 +04'00'

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

N 01- 020601

ქ. თბილისი **7 თებერვალი , 2023 წელი**

ერთი მხრივ, შპს **„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, **ნინო ნაროზაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“),

საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097
მის: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ა.პოლიტკოვსკაიას №5 და №7
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101480, LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE77LB0113123325230012

და მეორე მხრივ, **შპს „აიდიეს ბორჯომი თბილისი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **გიორგი ერაძის** სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი“),

საიდენტიფიკაციო კოდი: 404888528
მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქუჩა N5,(ნაკვეთი N1/103)
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE07TB7155936020100001
ელექტრონული ფოსტა : a.chachibaia@ids-borjomi.com
ტელეფონის ნომერი : +995 32 248 44 86; +995 591 91 62 62

თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“ და ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, კომპანიის ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის, 2023 წლის 1 თებერვლის №1-11725 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში -“ხელშეკრულება”) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **გაზირებული მინერალური წყალი** (შემდგომში - საქონელი) ხელშეკრულების **დანართი №1-ის შესაბამისად.**
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის **CPV კოდებია: 15981200 - გაზირებული მინერალური წყალი;**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **810.00** (რვაას ათი) **ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.**
2. დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2023 წლის საკუთარი სახსრები.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უზრუნველყოს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში,** შემსყიდველის მიერ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, **მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.**
2. შემსყიდველი კომპანიის მოთხოვნა გაიგზავნება მიმწოდებლის ელექტრონულ ფოსტაზე : a.chachibaia@ids-borjomi.com
3. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის სათავო ოფისის მისამართზე: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ა.პოლიტკოვსკაიას №5 და №7.
4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი საქონელი.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულება მოცემულია საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა სახის ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3. მიწოდებული საქონლის ღირებულება ანაზღაურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4. მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება. ამასთან, ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.
5. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდება შემსყიდველის მიერ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ.
2. საქონლის მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - **ლოგისტიკის დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმოადგენელი/წარმომადგენლები.**
3. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს **შპს „აიდიეს ბორჯომი თბილისი"-ს გაყიდვების ნაციონალური მენეჯერი - ავთანდილ ჩაჩიბაია.**

მუხლი 6. საქონლის შესაბამისობა

1. საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისთვის დადგენილ სტანდარტებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნებიდან მიმწოდებლის მიერ ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიწოდება.
გ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნებით;
დ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში;
ე) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზარალი.
ვ) მოახდინოს შემსყიდველის ინფორმირება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
ზ) მიწოდებულ საქონელზე წუნის ან/და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში უზრუნველყოს წუნდებული, ხელშეკრულების შეუსაბამო ან/და დაზიანებული საქონლის ჩანაცვლება ახალი საქონლით.
თ) მიაწოდოს შემსყიდველს სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ვარგისი და შესაბამისი ხარისხის მქონე პროდუქტები;
ი) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებელს მოთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
ბ) არ მიიღოს საქონელი, რომლის იდენტიფიცირება შეუძლებელია ქარხნული შეფუთვის დარღვევის გამო, ან რაიმე სხვა მიზეზით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორისარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულება

1.. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "მიმწოდებელს"

დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ირღვევა 20 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების მე-9 მუხლის 1 და 2 პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შემსყიდველის სასარგებლოდ.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა ირღვევა 20 ან მეტი კალენდარული დღის განმავლობაში.

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მულხი 11. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული წერილობითი შეთანხმება მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებ(ებ)ის ან/და დამატებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეთა მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად, ან/და მატერიალურად.
8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
9. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
10. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12. დანართი №1 (ფასების ცხრილი) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2024 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

შემსყიდველი: **შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"**	**მიმწოდებელი:** **შპს „აიდიეს ბორჯომი თბილისი"**
_____	_____
ნინო ნაროზაშვილი **დირექტორის მოადგილე**	**გიორგი ერაძე** **დირექტორი**

ფასების ცხრილი დანართი N1

დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
ბორჯომი (შუშის 0,5ლ)	ცალი (ბოთლი)	600	1.35	810.00
სულ ჯამი				810.00

შემსყიდველი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ნინო ნაროზაშვილი
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი:
შპს „აიდიეს ბორჯომი თბილისი"

გიორგი ერაძე
დირექტორი

ШПС საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

ქ. თბილისი

7 თებერვალი, 2023 წელი

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის („ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“) შესაბამისად ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ თანამშრომლები ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

მიმწოდებელი: შპს “აიდიეს ბორჯომი თბილისი”

ხელშეკრულება № 01-020601

დირექტორის მოადგილე:
ნინო ნაროზაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
ნუგზარ კალანდაძე

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი:
ვახტანგ შავგულიძე

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი:
მერი სულუაშვილი

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის II კატეგორიის სპეციალისტი:
ზურაბ მიქიაშვილი

ზ. მიქიაშვილი